სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 აგვისტო, 2024 წ.

ბრძანება N01-02/130

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს **განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/მ ბრძანების,** „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, **,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის** დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს N06-01/105 დადგენილების,** ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის N07-01/44 გადაწყვეტილების (განისაზღვრა სწავლის წლიური საფასური - 4000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი), ,,ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2024 წლის 12 თებერვლის N07-01/23 გადაწყვეტილების** (2024-25 სასწ. წლიდან განისაზღვრა სწავლის წლიური საფასური - <u>5000 აშშ დოლარის</u> ექვივალენტი ლარი), **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N06-01/99 დადგენილებით დამტკიცებული** ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესის" და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N933757, 01.08.2024წ.) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული ფორმა (**დანართი 1**).
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,2021-2022 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 12 ოქტომბრის N01-02/172 ბრძანება.**
3. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული **ხელშეკრულების ფორმა ითარგმნოს ინგლისურ ენაზე** (გადაეგზავნოს თარჯიმანს).
4. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული **ხელშეკრულების ფორმის გაცნობა** (გადაგზავნა) ბსუ-ში სწავლით დაინტერესებული პირებისათვის და ასევე უცხოელი აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით ბსუ-სთან გაფორმებული მემორანდუმის მხარისათვის - კომპანიისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უზრუნველყოს **პროგრამის განმახორციელებელმა ფაკულტეტმა.**
5. ხელშეკრულების ფორმა განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ქართულენოვან და ინგლისურენოვან გვერდებზე, ველში იურიდიული ცნობარი/Legal Guide).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და თარგჯიმანს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 აგვისტოს N01-02/130 ბრძანების
დანართი 1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" _____ წ.

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში **,,უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ"**), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ---------- მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ _____ _____ (შემდგომში ,,**სტუდენტი**") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის **ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან** (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში - ,,პროგრამა") ჩარიცხულ სტუდენტს **(ბრძანება N----------, 00.00.0000წ)** შორის ურთიერთობის რეგულაცია.

1.2. ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და ბსუ-ს შინაგანაწესი (გარდა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული დებულებებისა) განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით, სწავლის საფასურის გადახდის წესითა და სხვა აქტებით.

2.2. **სტუდენტი** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში) განთავსებულ ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესს" (შემდეგში - **,,სწავლის საფასურის გადახდის წესი"**), წინამდებარე ხელშეკრულების ფორმას, ასევე ,,სტუდენტის გზამკვლევში" განთავსებულ სხვა სამართლებრივ აქტებს და **კისრულობს ვალდებულებას**:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო **კურსები/კომპონენტები)** და შეასრულოს სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებით გათვალისწინებული აკადემიური აქტივობა/სამუშაო;

ბ) გადაიხადოს უნივერსიტეტში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია) ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში და ,,სწავლის საფასურის გადახდის წესის'' შესაბამისად;

გ) ისარგებლოს ,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით"/,,სტუდენტური პორტალით"/ ბსუ-ს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული სხვა ელექტრონული სერვისებით, რომლის საშუალებით ბსუ-ს სტუდენტებს მიეწოდება უნივერსიტეტის შეტყობინებები ან/და ინფორმაცია, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და გამოცემული სამართლებრივი აქტების თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება) ისარგებლოს ბსუ-ს ოფიციალური ფოსტით, სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია, მის პირად საქმეში და სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (აისახება ,,სტუდენტის გზამკვლევში"/განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებგვერდზე (**www.bsu.edu.ge.**);

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა; დროულად დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები და დაიცვას ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" მოთხოვნები;

ზ) <u>იყოს დაზღვეული</u> საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით დამტკიცებული პირობების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში/წესით წარმოადგინოს დაზღვევის პოლისი (მოთხოვნის შემთხვევაში გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის სავალდებულო დაზღვევის შესყიდვის საფასური);

თ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ,,აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის" და უნივერსიტეტის სხვა, შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნები.

2.3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

ბ) სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს მიღებული შეფასების შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით/საგამოცდო ინსტრუქციით დადგენილ ვადაში და წესით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეიჩეროს ან შეიწყვიტოს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ე) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოში;
ვ) მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებაში, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში;
ზ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით, ბსუ-ს წესდებით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით დაწესებული სტუდენტის უფლებებით.

2.4. **უნივერსიტეტი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებით და სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობით;
ბ) უზრუნველყოს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო საუნივერსიტეტო გარემოში;
გ) სტუდენტის ცოდნა შეაფასოს სამართლიანად და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზაცია;
დ) უზრუნველყოს სტუდენტი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;
ე) არ დაუშვას სტუდენტის დისკრიმინაცია, ასევე უზრუნველყოს სტუდენტის პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
ვ) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, ასევე ბსუ-ს წესდებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და სხვა სამართლებრივი აქტებით დაწესებული სტუდენტის უფლებებით სარგებლობას.

2.5. **უნივერსიტეტი უფლებამოსილია:**
ა) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასწავლო წლის კალენდარი, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები და მოსთხოვოს სტუდენტს სწავლის საფასურის დადგენილ ვადაში გადახდა;
ბ) სტუდენტის შესახებ გამოსცეს სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ს სხვა რეგულაციების და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

მუხლი 3. სწავლის საფასური, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

3.1. სტუდენტის სწავლის საფასური (ერთი სასწავლო წლისათვის) შეადგენს ---------- **აშშ დოლარს.**

3.2. სტუდენტი ვალდებულია ყოველწლიურად გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს პროგრამაზე სწავლის საფასური, კერძოდ:

ა) **პირველი სასწავლო წლის (ორი სემესტრის) საფასური** - უცხოელი აბიტურიენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ საქართველოს შესაბამისი უწყების (სამინისტრო/სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემის შემდეგ, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული რეგულაციების (,,ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) მოთხოვნათა დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

ბ) ბსუ-ში სწავლის ყოველი მომდევნო სემესტრის (მე-3 სემესტრიდან) სწავლის საფასური - ,,სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად, არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში (თუკი ბსუ-ს რექტორის ბრძანებით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული).

3.3. სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდისათვის გამოიყენება შემდეგი საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 (უნდა მიეთითოს ასევე: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში კი - სტუდენტის სახელი, გვარი, პასპორტის/პირადი ნომერი; საგანმანათლებლო პროგრამა);

3.4. სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებისა და დასრულების (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა"; ინგლისურენოვანი ვებგვერდზე ველში - ,,განცხადებები"; ,,სტუდენტის გზამკვლევი"), ასევე ფაკულტეტის მიერ ელექტრონული სერვისების საშუალებით ეცნობება სტუდენტებს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სტუდენტის სტატუსი შეწყვეტა და შეჩერება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- სასწავლო წლიდან და მოქმედებს ამ პროგრამაზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე პერიოდში;

4.2. სტუდენტისათვის <u>სტატუსის შეწყვეტის</u> შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

4.3. **უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება (აკადემიური ხარისხის მინიჭება);

გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული შემთხვევა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
დ) ერთი და იგივე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება (სამჯერ შეფასების „ჩაჭრა" – F" მიღება);
ე) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
ვ) გარდაცვალება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერისტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსით და შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
4.4. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი ვალდებულების შესრულებისგან.
4.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელობა;
ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
ე) აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან **45 კალენდარული დღის განმავლობაში სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების მიუღებლობა;**
ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.
4.6. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს შესაბამისი სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
4.7. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების/სასწავლო პროცესში დაბრუნების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა რეგულაცია, დადგენილია საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად შემუშავებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" და განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე ,,სტუდენტის გზამკვლევში", სტუდენტთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან ერთად.

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

5.1. სტუდენტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს წერილობით თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის ,,საქმისწარმოების ინსტრუქციის" და ,,სტუდენტთა ელექტრონული

სერვისების ადმინისტრირების წესის“ მოთხოვნათა დაცვით, სტუდენტების მოზიდვის თაობაზე ბსუ-ს და შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზნებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან და სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

5.2. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ,,სტუდენტთა გზამკვლევში“ (თავი ,,სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება“).

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის შეთანხმება თუკი ვერ იქნა მიღწეული, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად დათითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

6.4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

,,უნივერსიტეტი”	,,სტუდენტი”
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _____ პირადი № _____ ფაქტობრ. მისამთ._____ რეგისტრ.მისამ. ---------- ტელეფონი _____ ელ. ფოსტა_____
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	

(რექტორის ხელმოწერა)	სტუდენტის ხელმოწერა _____